ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო და ადამიანის ჯანმრთელობა

ეთერ დავითაია

ელ-ფოსტა: eteri.davitaia@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179, თბილისი, საქართველო

ადამიანი და ლანდშაფტური გარემო მჭიდრო ურთიერთკავშირშია. სწორედ გარემო პირობები განსაზღვრავს ადამიანის დღეგრძელ და შინაარსიან ცხოვრებას., ამიტომაც აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემო პირობების გავლენის შესახებ კვლევების ჩატარება, რომელიც ბუნებრივი პირობების შესწავლასთან ერთად, სამედიცინო ასპექტების ანალიზსაც მოითხოვს. ავადმყოფობასა და გეოგრაფიულ გარემო პირობებს შორის კავშირის არსებობის შედეგად მეცნიერების ახალი დარგიც კი წარმოიშვა – სამედიცინო გეოგრაფია. იგი შეისწავლის ადამიანის დაავადებათა და პათოლოგიურ მდგომარეობათა გეოგრაფიული გავრცელების მიზეზებს, გარემოს გავლენას ჯანმრთელობაზე, ამუშავებს სამედიცინო-გეოგრაფიული რუკების შედგენის მეთოდებსა და სხვ..

ამჟამად გავრცელებულ დაავადებათა უმეტესობის წარმოშობა და გავრცელება პირდაპირ კავშირშია გარემოსა და სოციალურ ფაქტორებთან. მათ შორისაა ავთვისებიანი (ფილტვის, საჭმლის მომნელებელ ორგანოთა, კანის) სიმსივნეები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (მიოკარდის ინფარქტი, ჰიპერტონია), ბიოქიმური ენდემები (ჩიყვი, კენჭოვანი დაავადებები, კარიესი), პარაზიტული და ტროპიკული დაავადებები (ჰელმინთოზები, მალარია) და სხვ..

აქედან გამომდინარე, არახელსაყრელი ეკოლოგიური ფაქტორების გავლენის შედეგად განვითარებულ დაავადებათა რეტროსპექტული და პროსპექტული ანალიზი, გარემოს რისკ-ფაქტორების შესწავლასთან ერთად, წარმოადგენს აუცილებელ პირობას სწორი პრევენციული და პროფილაქტიკური ღონისძიებების შესამუშავებლად და არის ერთადერთი და ძირითადი ინსტრუმენტი ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად.